

"თემის ლიდერი"

ტრენინგ კურსი ახალგაზრდა თემი
ლიდერებისთვის ახალგაზრდული
სათემო ინიციატივებისა და
მონაწილეობრივი დემოკრატიის
ხელშეწყობისთვის

კოგნიტიო - უწყვეტი ცოდნა



14-21 წლის პირებს გიწვევთ ტრენინგ კურსში მონაწილეობის მისაღებად "თემის ლიდერი"

პროექტის შესახებ

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია "კოგნიტიოს" ორგანიზებით და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ისეთი საკიხების შესახებ, როგორცაა ადამიანის უფლებები, მონაწილეობითი დემოკრატია, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და სხვ.

პროექტი ხორციელდება ა(ა)იპ "კოგნიტიოს" მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰელფინგ ჰენდთან" თანამშრომლობით, რომელიც მოიცავს სამდღიან ტრენინგსა და პანელურ დისკუსიას მოწვეულ სტუმრებთან.

სამდღიანი ტრენინგი

სამი დღის განმავლობაში ჩატარდება ონლაინ ტრენინგები. მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის მოწყობილობასთან (ტელეფონი, კომპიუტერი, ტაბლეტი და სხვ.)

ტრენინგების თემატიკა იქნება:

- დემოკრატია და ადამიანის უფლებები;
- მონაწილეობითი დემოკრატია;
- ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა;
- მოხალისეობა;
- პროექტის წერა;
- პრეზენტაციის უნარ-ჩვევები.

ონლაინ ტრენინგების ჩატარების განრიგი შემდეგია:

- 29 აგვისტო - 12:00 - 15:30 საათი;
- 30 აგვისტო - 12:00 - 15:30 საათი;
- 1 სექტემბერი - 12:00 - 15:30 საათი;

პანელური დისკუსია

სამდღიანი ტრენინგების დასრულების შემდეგ გაიმართება პანელური დისკუსია მონაწილე სტუმრებთან.

პანელური დისკუსიის შესახებ დეტალური ინფორმაცია მონაწილეებს მიენოდებათ პროექტის გახსნისას.



პროექტი განკუთვნილია საქართველოს მასშტაბით რეგიონებში მცხოვრები 14-21 წლის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სათემო ინიციატივებს ან/და სურთ მოხალისეობივად განახორციელონ სათემო ინიციატივები.

ტრენინგის მონაწილე:


- უნდა იყოს 14-21 წლის;
- შეეძლოს პროექტში სრულად ჩართვა;
- ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა ტრენინგის დასრულების შემდეგ, პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია და განახორციელოს მცირე მასშტაბის სათემო პროექტი.

25 მონაწილე შეირჩევა შევსებული სააპლიკაციო ფორმის შედეგად.

სააპლიკაციო ფორმა:

აპლიკაციების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2020 წლის 27 აგვისტო.

ტრენინგის სამუშაო ენაა ქართული.



შეკითხვების შემთხვევაში
დაგვიკავშირდით:



Cognittio@gmail.com



[Facebook.com/ngocognittio](https://www.facebook.com/ngocognittio)

კოგნიტიო - უწყვეტი ცოდნა